

Porsche vs Mercedes

წყვილთა რბოლა - 2018 წელი

(შეჯიბრების რეგლამენტი)

1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრებების ჩატერების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი
5. სარბოლო ტრასა
6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა
7. დაშვებული ავტომობილები
8. დაჯილდოება

მუხლი 1. შესავალი

1.1. რეგლამენტი (შემდგომში სსსფ–ს რეგლამენტი) შედგენილია 2018 წლის საავტომობილო სპორტის შეჯიბრებების დებულებების თანახმად და განსაზღვრავს საქართველოს 2018 წლის Porsche vs Mercedes ოფიციალური შეჯიბრების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს სამოყვარულო წყვილთა რბოლაში.

1.2. შეჯიბრების ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:

1.2.1 სსსფ–ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;

1.2.2 წყვილთა რბოლის შეჯიბრებების წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ–სა)

1.2.3 სამოყვარულო შეჯიბრებების ორგანიზებისა და ჩატარების წესები;

1.2.3 სამოყვარულო შეჯიბრებებში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია;

1.2.4 მოქმედი რეგლამენტი (სსსფ–ს რეგლამენტი) და მისი დანართი;

1.2.5 ღონისძიების დებულება.

1.4. მოცემული სსსფ–ს რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან.

მუხლი 2. ოფიციალური შეჯიბრების ამოცანები და მიზნები

2.1 საქართველოს 2018 წლის Porsche vs Mercedes წყვილთა რბოლაში ოფიციალური შეჯიბრება ტარდება საუკეთესო მძღოლის გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში

სავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. შეჯიბრების ჩატარების უფლებები.

3.1. 2018 წლის Porsche vs Mercedes წყვილთა რბოლის ჩატარების უფლება ეკისრება Porsche კლუბს.

მუხლი 4. შეჯიბრების სტრუქტურა

ოფიციალური შეჯიბრება ტარდება ივენთის ბაზაზე, რომელიც ჩართულია სსსფ-ს სპორტული ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გეგმის შესაბამისი სტატუსით. შეთანხმებული კალენდარი მიეწოდება სსსფ-ს შეჯიბრის სერიის პრომოუტერის ან ორგანიზატორის მიერ, პრომოუტერის არყოფნის შემთხვევაში ივენთის ორგანიზატორის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სსსფ-ს წინაშე ივენთის ჩატარებაზე.

მუხლი 5. სარბოლო ტრასა

5.1. შეჯიბრების ჩატარების ტრასა უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ-ს მოთხოვნებს.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა

6.1. შეჯიბრების ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას ღებულობენ შეჯიბრის ორგანიზატორი, შეჯიბრის ხელმძღვანელი და სსსფ-ის მიერ წარდგენილი უსაფრთხოების კომისარი. შეჯიბრების ხელმძღვანელი და სსსფ-ის მიერ წარდგენილი უსაფრთხოების კომისარი ვალდებული არიან შეაჩერონ შეჯიბრება თუ არსებობს მაყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.

მუხლი 7. დაშვებული ავტომობილები

9.1. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან საერთო სარგებლობის გზებზე მოძრაობისთვის სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებს;

9.2 სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის დებულებით.

9.3 ავტომობილებზე გამოიყენება ის საბურავები რომლებიც დაშვებულია შეჯიბრების დებულების მიხედვით.

9.4. შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან, ვიზუალურად დაზიანებული, ან მოხსნილი გარე ნაწილებით ავტომობილები.

მუხლი 8. დაჯილდოება

დაჯილდოება განხორციელდება შეჯიბრების დასრულების შემდეგ, სპონსორის მიერ დაწესებული საჩუქრებით. დაჯილდოვდებიან პირველი ექვსეული.